

ელექტროგადამცემი ხაზის ალტერნატიული ვარიანტები

ეგზ-ს ტიპის ალტერნატიული ვარიანტები

ელექტროგადამცემი ხაზის ტიპის ალტერნატიული ვარიანტებიდან განიხილება მიწისქვეშა საკაბელო და საჰაერო ხაზების პროექტები, რომელსაც გააჩნიათ თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, კერძოდ;

- მიწისქვეშა საკაბელო ხაზის განთავსება ხდება ამისათვის სპეციალურად მოწყობილ ტრანშეაში და როცა ეგზ-ის დერეფანი გადის რთული რელიეფის ტერიტორიაზე, მაღალია ეროზიული პროცესების გააქტიურების რისკები. საპროექტო ბაზვი 2 ჰესის საპროექტო დერეფანში მდ. ბახვისწყლის ხეობა წარმოდგენილი მაღალი დახლიობის ფერდობებით და რთული გეოლოგიური პირობებით. შესაბამისად საკაბელო ხაზის მოწყობის შემთხვევაში არსებობს საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების მაღალი რისკი. გარდა აღნიშნულისა საკაბელო ხაზის მოწყობის შემთხვევაში საჭირო იქნება დიდი მოცულობის მიწის სამუშაოების შესრულება, რაც გარკვეულ ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, აკუსტიკურ ფონზე და შესაბამისად აქ მობინადრე ცხოველთა სახეობებზე. საკაბელო ხაზისათვის თხრილის მოწყობა საჭიროებს ეგზ-ს დერეფნის მთელ სიგრძეზე გზის მოწყობას და შესაბამისად დერეფნის მცენარეული საფარისაგან გასუფთავებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკებს. ბაზვი 2 ჰესის შემთხვევაში საკაბელო ხაზის მოწყობა შესაძლებელი იქნებოდა სადაწნეო მილსადენების და საექსპლუატაციო გზების დერეფნებში, მაგრამ ამ შემთხვევაში ადგილი იქნება საპროექტო დერეფნის გაფორთოებას, რაც უარყოფითად აისახება გეოლოგიურ გარემოზე და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით;
- საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობის შემთხვევაში, გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების რისკი მინიშნელოვნად ნაკლებია. ნაკლებია ასევე შესასრულებელი მიწის სამუშაოების მოცულობები და შესაბამისად ბიოლოგიურ გარემოზე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და აკუსტიკურ ფონზე ზემოქმედების რისკები. თუმცა აღსანიშნავია, რომ საჰაერო საჰაერო ეგზ-ის ექსპლუატაციის ეტაპზე მაღალია ფრინველებზე და ხელფრთიანებზე ნეგატიური ზემოქმედების რისკი. ფრინველებზე ზემოქმედების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მდ. ბახვისწყლის გადაკვეთის მონაკვეთები (გადაკვეთა ხდება 2 წერტილში), სადაც განთავსებული იქნება შესაბამისი საშუალებები ფრინველების არიდების მიზნით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოზე ზემოქმედების შედარებით დაბალი რისკების გათალისწინებით მიზანშეწონილად ჩაითვალა საჰაერო ხაზის მოწყობა.

ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის ალტერნატიული ვარიანტები


ბაზვი 2 ჰესის შემადგენელი ბაზვი 2ა და ბაზვი 2ბ სქემების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ქვეყნის ენერგოსისტემაში ჩართვის მიზნით, განიხილებოდა სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტები, მათ შორის: ელექტროენერგიის გამოტანა მდ. ბახვისწყლის ქვედა დინების მიმართულებით და ბაზვი 3 ჰესის ელექტროგადამცემ ხაზზე დაერთება, რაც ვერ განხორციელდა აღნიშნული ხაზის არასაკმარისი ტექნიკური პარამეტრების გამო. შესაბამისად, საჭირო იქნებოდა ახალი ხაზის მოწყობა, რაც გარემოზე დამატებითი ზემოქმედების რისკებთან იქნებოდა დაკავშირებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, გამომუშავებული ელექტრონერგიის ბაზვი 1 ჰესის ძალური კვანძის ტერიტორიაზე დაგეგმილი 110 კვ ძაბვის ქვესადგურთან დაკავშირების თაობაზე, საიდანაც ჩართული იქნება 110 კვ ძაბვის ზოტი ოზურგეთის ხაზში.

ბაზვი 2ა და ბაზვი 2ბ ქვესადგურებიდან ბაზვი 1 ჰესის 110 კვ ძაბვის ქვესადგურში ჩართვის მიზნით ელექტროგადამცემი ხაზის განთავსების დერეფნის შერჩევისათვის რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტის განხილვა, არ არის შესაძლებელი მდ. ბაზვისწყლის ხეობის სპეციფიკური პირობების (ვიწრო ხეობა და ციცაბო ფერდობები) გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტირების ეტაპზე განიხილებოდა ორი ალტერნატიული ვარიანტი, მათ შორის:

- პირველი ალტერნატიული ვარიანტი - ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა სადაწნეო მილსადენის და სამშენებლო საექსპლუატაციო გზების დერეფანში;
- მე-2 ალტერნატიული ვარიანტი - ელექტროგადამცემი ხაზის დამოუკიდებელ დერეფანში მოწყობა.

სურათი 3.6.1. ეგხ-ს დერეფნის ალტერნატიული ვარიანტების სქემა (მე-2 ალტერნატიული ვარიანტი აღნიშნულია ცისფრად)



განხილული ალტერნატიული ვარიანტიდან უპირატესობა მიენიჭა პირველ ალტერნატიული ვარიანტს გარემოზე ზემოქმედების შედარებით დაბალი რისკებიდან გამომდინარე, კერძოდ: პირველი ალტერნატიული ვარიანტის მიხედვით ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენი ანძები განლაგებული იქნება სადაწნეო მილსადენის და სამშენებლო-საექსპლუატაციო გზების დერეფნებში ან მათ უშუალო სიახლოვეს, რაც გამორიცხავს ხაზისათვის ახალი დერეფნის ათვისების საჭიროებას. ამასთანავე, ეგხ-ს საყრდენების განთავსების ადგილებამდე მისასვლელად, საჭირო არ იქნება ახალი გზების მოწყობა.

ყოველივე აღნიშნული მნიშვნელოვნად შეამცირებს გარემოზე ზემოქმედების რისკებს, მათ შორის: ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკებს, რადგან შემცირდება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ჰაბიტატების ფართობი, ჭრას დაქვემდებარებული მცენარეული საფარის და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ცხოველთა საბინადრო ადგილების რაოდენობა. შემცირდება ასევე, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები, რადგან როგორც აღინიშნა მინიმუმადე მცირდება ახლად მოსაწყობი გზების რაოდენობა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საუკეთესო ალტერნატიულ ვარიანტად ჩაითვალა პირველი ალტერნატიული ვარიანტი.